ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3369120

ნომერი: AR1516717

თარიღი : 22.06.2017

გაცემის თარიღი : 03.07.2017

გაცნობის თარიღი : 03.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არტემ ლუსინიანის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გულედანი პ/ნ 01019004522
- ვაჟა ფშაველას 16 ოფისი222

ორგანიზაცია:

- შპს სასკო კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 22 ივნისს №AR1516717 განცხადებით მომართა ლელა გულედანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ისანი, იალბუზის ქ. N 7-9, ლუსინიანის ქ.N5-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №1.17.01.134.025), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 20.06.2016 წ-დან 20.06.2017 წ-ის ჩათვლით.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში ჩანაწერის „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 20.06.2016 წ-დან 20.06.2017 წ-ის ჩათვლით“ ნაცვლად, დაფიქსირდეს ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 20.06.2016 წლიდან 20.06.2018 წლის ჩათვლით“.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში დაფიქსირდეს ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 20.06.2016 წლიდან 20.06.2018 წლის ჩათვლით“. სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 20 ივნისის #2662535 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.